1892 დეკემბერი 1, სამშაბათი № 254

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი

1877—1892

...დასი

...საათზედ

...ადგენად შემდეგი „მოლალატე“, „მუშა-...ებიერი“, „ჩვენი დროის ქალები“ და სხვ.

ადმინისტრატორი გალ. გუნია.

**დოქტორი ს. ვაჩაძე**

იღებს ავადმყოფებს ნაშუადღევის 3 საათიდგან 6 საათამდე (ელისაბედის ქუჩა, კობიევის სახლი, № 116). (30—19)

„ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება ახალი წიგნი

**მევენახობა**

თხზულება თ. ლ. ე. ჯორჯაძისა, ფასი 60 კაპ.

იქვე ისყიდება **თხზულება თ. ი. ჭავჭავაძისა**, მეოთხე ტომი, ფასი 1 მან 60 კაპ. (5—4)

## ახალი ამბავი

*** კვირას, 29 ნოემბერს, ტფილისში მობძანდა კავკასიის სამხედრო გზით მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა ახლად დანიშნული საქართველოს ეგზარხოსი ვლადიმირი. დილის 11 საათზე, შეგროვდნენ სიონის ტაძარში ტფილისის წარჩინებუ-...კაცნი. სხვათა შორის იყვნენ: ...უსის კომანდირი კავალერიის ...რალი თ. ზ. გ. ჭავჭავაძე, სახელ...ო საბჭოს წევრი ინფანტერიის ...რალი თავადი დ. ა. სვიატოპოლკ...სკი და მრავალნი სხვანი. ქუ...ი, საცა უნდა გაევლო მის მაღალ ...ვლად უსამღვდელოებას სავსე იყო ...არებელ ხალხით. სასახლის ქუჩა...ედ, ქვაშვეთის საყდრის ახლო, ორპირათ ხალხი იყო ჩამწკრივებული. აქვე იდგნენ ამქრები დროშებით. თორმეტი საათი იქნებოდა, როცა მისი მეუფება მოუახლოვდა ქვაშვეთის ეკკლესიას. ეკკლესიის გალავანში დახვდნენ და მიეგებნენ: ტფილისის გუბერნატორი დეისტვიტ. სტატ. სოვეტ. თ. გ. დ. შარვაშიძე, ტფილისის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ერნსტი, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი კამერგერი ლ. ა. მაღალაშვილი, ქალაქის მოურავი კამერგერი თ. ნ. ვ. არგუთინსკი-დოლგორუკი და სხვანი. ქვაშვეთის ეკკლესიაში მის მეუფებას მიეგება ამ ეკკლესიის წინამძღვარი წმინდა ჯვრით ხელში. შემდეგ დაიწყო პარაკლისი. პარაკლისი გადიხადეს და შემოსილი ეგზარხოსი სამღვდელოებით გაემართა სიონის ტაძრისაკენ. მრავალი ხალხი იდგა აქეთ-იქით ქუჩებში.

$12^1/_2$ საათზედ მივიდნენ სიონის ტაძარში. შესავალში ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრემ უთხრა სიტყვა, რომელშიაც შემოკლებით გამოხატა საქართველოს საეკკლესიო ისტორია. მცირე პარაკლისის შემდეგ ეგზარხოსმა სიტყვა წარმოსთქვა და, სხვათა შორის, ბძანა: მოწოდებული ვარ ფრიად სამძიმო საქმისათვის და დიდი ტვირთი და შრომაც მომელის. იმედი მაქვს, რომ ყველანი დამეხმარებით ამ მოვალეობის ასასრულებლად.

*** კავკასიის მთავარ-მართებელმა მიჰმართა ყველა გუბერნატორებს და სთხოვა, თქვენი აზრი შემატყობინეთ შესახებ იმისა, თუ რა საშუალებანი უნდა მივიღოთ, რომ მომავალ გაზაფხულს ხოლერა ავიცდინოთო.

გუბერნატორებმა მოსწერეს მთავარ-მართებელს, რომ როგორც გასულ ზაფხულს დავრწმუნდით, ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად აუცილებლად საჭიროა ქალაქებისა და სოფლების დაწმენდა-დასუფთავება და დეზინფექცია. გუბერნატორებმა წარუდგინეს აგრეთვე მთავარ-მართებელს სია იმისი, თუ რამდენი მკურნალი და ფერშალი იქნება საჭირო ხოლერის დრო თითვეულ გუბერნიაში და რამდენი ფული დასჭირდებათ მათ მისაწვევად და სადეზინფექციო წამლების საყიდლად. ამას გარდა გუბერნატორებმა სთხოვეს მთავარ-მართებელს, ნება მოგვეცით საადმინისტრაციო წესით დავსაჯოთ ჯარიმითა (არა უმეტეს 50 მანათის) ან დაპატიმრებით (7 დღემდე). ხოლერის დროს სასანიტარო წესების დამრღვევნი.

*** 29 ნოემბერს ტფილისის მესამე გიმნაზიაში იყო წლიური აქტი, რომელსაც დაესწრნენ: კავკასიის ოლქის მზრუნველი ტ. ს. კ. პ. იანოვსკი, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ლ. ა. მაღალაშვილი და სხვა წარჩინებულნი. შეგირდებმა იგალობეს რამდენიმე საგალობელი. გიმნაზიის დირექტორმა წაიკითხა წარსულის წლის ანგარიში, რომლიდანაც სჩანს, რომ წელს დაარსებით 7 კლასი, და 8-კი მერმის გაიმართება. 4 დაბალი კლასი და ერთი განყოფილება ინახება სახელმწიფო ხარჯით, უფროსი კლასები-კი სწავლისათვის გამორთმეულ ფულით. ამ ფულითვე უნდა დაარსდეს მერვე კლასიც. სულ გიმნაზიაში სწავლობენ 350 შეგირდი.

*** გუშინ-წინ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ხაშურის სადგურზედ აკურთხეს რკინის გზის სკოლა მოხელეთა შვილებისათვის დაარსებული. 28 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზედ საგანგებო მატარებლით გაემგზავრა ხაშურს ტფილისიდგან რკინის გზის მმართველობა. კურთხევას ხალხი ბლომად დაესწრო.

*** ხვალ, ოთხშაბათს, 2 დეკემბერს სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში დანიშნულია ბენეფისი ბ-ნ სვიმონიძისა. წარმოადგენენ ახალს ისტორიულს პიესას, რომლის შინაარსი ჩვენს წარსულს ცხოვრებას შეეხება და რომელსაც სახელად ეწოდება „შურის მაძიებელი“.

*** ჩვენ მივიღეთ მღვდლის ანტონ თოთიბაძისაგან 3 მან. ბ-ნ თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ დასაკვეთად. ამ ფულისა იყო 154 მან., შესდგა 157 მან.

*** დღეს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ, დანიშნულია კრება კავკასიის საიმპერატორო მკურნალთა საზოგადოებისა. ამ კრებაზედ სხვათა შორის წაკითხულ იქნება მოხსენება ი. ი. მინკევიჩისა: „მუსიკა, როგორც ერთ-ერთი სამკურნალო საშუალება კავკასიაში“.

*** ნოემბრის პირველ რიცხვებიდგან დიდძალი ბამბა მიაქვთ ბაქოსა და ალსტაფაში. ბაქოსაკენ აგრეთვე დიდძალი პურიც მიაქვთ. ამიტომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობამ, რაც ვაგონები მოეპოვება საქონლისთვის, ბაქოსაკენ გაჰგზავნა, მით უმეტესად, რომ ამ ჟამად ფოთში შავი ქვა აღარ მიაქვთ, რადგანაც უამისოდაც ფოთში 15 გემისათვის არის მიტანილი შავი ქვა საზღვარ-გარედ გასატანად. ამიერ-კავკასიის რკინის გზას მაინც აკლდება ვაგონები საქონლის გადასატან-გადმოსატანად. რკინის გზის უფროსმა ფრიდემ დეპეშით სთხოვა პეტერბურგის გზათა უმაღლესს მმართველობას, საქონლის გადასატან ვაგონების მომატების ნება მოგვეცითო.

*** დღეს რუსეთის მწერალის დ. ი. ფონ-ვიზინის გარდაცვალების დღიდგან 100 წლის შესრულების გამო, საზაფხულო თეატრში წარმოდგენილი იქნება ფონ-ვიზინის კომედია „ბრიგადირი“. თეატრის დარბაზი ჩინებულად იქნება მორთული.

*** სოფ. ქარელი (გორის მაზრა): ამ თთვის 16 აქ მობრძანდა მამა ლეონიდი სკოლის საქმეთა შესახებ. მამა ლეონიდმა გაიგო თუ არა, რომ ხუთი წელიწადია, რაც ქარელში სამინისტრო სასწავლებელი არსებობსო, საჭიროდ აღარ სცნა, ხალხისთვის ექადაგნა მეორე სამრევლო სკოლის დაარსების შესახებ, რადგანაც მამა ლეონიდს კარგა მოეხსენება ჩვენის ხალხის ავლა-დიდება; ჩვენს ხალხს ერთი სკოლაც ვერ შეუნახავს, როგორც რიგია, არა თუ მეორესთვისაც იზრუნოს; ამიტომ მამა ლეონიდმა სთხოვა ბლაღოჩინს მღვდელს ნიკოლოოზ მცხვედაძეს, რომ მიიღოს ზრუნვა სამრევლო დედათა სკოლის დაარსებისათვის; ამისათვის საჭირო ფული უნდა გადაიდოს ხოლმე ეკკლესიის შემოსავლიდამაო. ამას გარდა, „ქრისტიანობისგანმავრცელებელი საზოგადოებაც“ დაეხმარება სკოლასაო. ბლაღოჩინმა ნიკოლოოზ მცხვედაძემ დიდის სიამოვნებით მიიღო მამა ლეონიდის წინადადება და დაჰპირდა სკოლის აშენებას; უთუოდ ვეცდები და ავაგებო. ბლაღოჩინს ნ. მცხვედაძეს სრული იმედი აქვს, რომ თ-ნი ციციშვილები ამ ყოვლად კეთილ საქმეში შემწეობას აღმოუჩენენ, როგორც სკოლის შენობისათვის ხე-ტყის შეწირვით, აგრეთვე ფულითაც.

ქარელიდგან მამა ლეონიდი იმავე დღეს წაბძანდა ზემო-ხვედურეთს, სადაც ორი დღე დაჰყო; შეაკრებინა თავადობა და გლეხობა; უამინდობისა გამო ხალხი ბლომად ვერ შეიკრიბა. მამა ლეონიდმა უქადაგა, რა არის სკოლა და რა სარგებლობა მოაქვს. ხალხს ძრიელ მოეწონა მამა ლეონიდის დარიგება და ერთ ხმად აღუთ-

## ფელეტონი

### ხოლერამ მიშველა

(ბერუას ნაამბობი)

#### I

ხოლერა მოდისო, ხმა ისმოდა. სოფელ საბრალოში დღეში ათი კვდებოდა; ეს სოფელი-კი სულ ვერს-ნახევარზეა ჩვენს სოფელზე დაშორებული. ჩვენი სოფლელებიც შათოთქორდნენ; ძილი აღარავისა ჰქონდა მოსვენებული და სმა-ჭამა. წინა დღითვე საფლავებს ითხრიდნენ, ცოლი ქმარს შესტიროდა სიკვდილის მოახლოვებას და ქმარი—ცოლს. ნინიკას წვეთი დასცემოდა და სოფლის განაპირად, ღობის გვერდზედ ეგდო გულ-აღმა. ეგ არის ხოლერა მოსულაო, გაისმა ხმა და დაიწყო ხალხმა ტყეში გახიზნვა, დიდი და პატარა თავ-გადაგლეჯილები გარბოდნენ; ზოგმა მოასწრო ქოხის კარების დარაზვა, სხვას კარ-ღია ქოხი დაეტოვებინა. ყველაზედ უკან მე დავრჩი. ან-კი რა გამაქცევდა ტყეში; ერთი მარტო ხელა ბიჭი ვარ, ძმა მე არა მყავს და დედა. ცოლიც ეხლა ხოლერის წყალობით ვიშოვე... გვარად ტყიკაციშვილი გახლავართ...

საწყალ მამაჩემს ტყიკაცს ეძახოდნენ. იმაზედ ამბობდნენ, ვითომ ბატონი შემოჰკდომოდეს და ტყეში ეცხოვრნოს ოცი წელიწადი. მამაჩემისაგანაც მახსოვს ეს ამბავი სიზმარივით; გულ-ამოკვნესით გვიამბობდა ხოლმე მე და დედაჩემს თავისს თავ-დადასავალს. კაცსავით ბოროტი, შაუბრალებელი არც ერთი სულიერი არ იქნებაო; კაცს დიდი მადლიც შეუძლიან და ძალიან დიდი ცოდვაცაო, იტყოდა ხოლმე მამაჩემი, როცა ბატონის ამბავს მოიგონებდა. აბა, რაზე ან ჩემი სული დატანჯა და ან თავისიო, რად გამრია ქრისტიანის სისხლშიო. მამაჩემი დაღვრემილის სახის კაცი იყო, რაღაც გამოუთქმელი, გამოურკვეველი ნაღველი ეფარა პირზედ, ვერც გამრჯელი იყო: გული აღარ არისო, გული მოკვდაო, იტყოდა ხოლმე, იმდენს ძლივს მოვხნავდით, ისიც სამადლოდ, რომ წლითი წლამდე, როგორც იყო, გავღონღიალებულიყავით. მამაჩემს ადამას უფრო ბადე და ჩანგალი უყვარდა. ჩვენი ქოხი სოფლის განაპირასზედ დაჰყურებდა მტკვარსა, მეთევზის სადგურს ჰგავს ჯერაც; ახალთევზს არ გვაკლებდა. იმდენს შოულობდა, რომ კიდეცა ვყიდდით.

მამაჩემი არ იყო მოხუცებაში, როცა გადაიცვალა. დედაჩემსაც აღარ უცოცხლია იმის შემდეგ დიდხანს. იქნება მამიჩემის სიკვდილმა მოუღო იმასაც ბოლო. მეუღლის დაკარგვამ ძალიან დაანაღვლიანა. კარგად მახსოვს დედაჩემის სიტყვები, როცა ის დასტიროდა მდუღარე ცრემლით თავის ქმრის კუბოს: „საწყალო, საბრალო ტყის კაცო, ტანჯვა-წვალებისათვის გაჩენილო, ტანჯვა-წვალებაში დაჰლიე სულიო და იცემდა ორივე ხელებს თავში და პირში. არ მეგულება სადმე გამოჩნდეს მდიდრებში ისე ერთმანეთის მოყვარული ცოლ-ქმარი, როგორც ჩემი ღარიბლატაკი დედმამა იყო. ბევრჯელ მამაჩემი მთელს ღამეს ატარებდა წყალზედ, დედაჩემს ძილი არ მოუვიდოდა, უცდიდა კერი პირას გარინდებული და წაიტყოდა მალ-მალე: „ნეტა რად დაიგვიანა, წყალში-კი არ დაირჩოს საცოდავი კაცი?!“.

დამეხოცა დედ-მამა და დავრჩი ათის წლის ობოლი, უმწეო, უპატრონო. ერთი კუდა ხარი, ცხრაათი ქათამი, ხუთი-ექვსი ჯამ-კოვზი და სხვა უბრალო რაღაც მიანდერძა ჩემმა დედ-მამამ, მაგრამ დაილოცოს ღმერთი, დღეს ათჯერ მდიდარი ვარ ჩემს მშობლებზე. ღმერთმა უშველოს სოფელში მადლიანს კაცს; ზოგი მუშაობით, ზოგი მოჯამაგირობით ფულიც ვიშოვე და საქონელიც. ეს ამბავი შორს წაგვიყვანს, სჯობს ისევ ახალ ამბავს დაუბრუნდეთ...

დიაღ, სხვები რომ გარბოდნენ ტყეში დასამალად, მეც ავსდექ და იმათ კვალს გავყევი: ავიკიდე ზურგზე ერთი ფქვილიანი გუდა, გამოვიკარი კალთაში ხუთი-ექვსი პური და გავსწიე: „რაც ქვეყნის ნახირს, ის ბებრის ხბოსაო“. გავედი ბოგირს და შევუდექი ტყის აღმართს. უცებ ხმა მომესმა:

— ბერუავ, ბერუავ, მოიცა ერთად წავიდეთ, —მომძახოდა უცნობი.

ქვეს, სასწავლებელს უთუოდ გავმართავთო, თავადმა ილია ციციშვილმა, მომავალ სკოლას უფასოდ დაუთმო თითქმის ორის დღის მიწა. ეხლა იმედია, რომ ხვედურელებიც ეღირსებიან სასწავლებელსა.

** ბათუმი: აქ ხოლერა არ მოისპო და ამიტომ მუშა ხალხი ქალაქიდგან მიდის. რკინის გზის სადგურზედ მუშა კაცის შოვნა ძლიერ გაძნელდა. დღიური მუშა ამ ჟამად $1^1/_2$ მანათად ძლივს იშოვება.

** ნიგოითი: ამ დღეებში აქ ცოფიანმა მგელმა ერთი კაცი დაჰგლიჯა. დაშავებული ტფილისს გამოჰგზავნეს.

** გაზეთებში დაბეჭდილი იყო, რომ რადგანაც შესაძლოა გაზაფხულზედ ხელ-მეორედ ხოლერა გაჩნდეს, ამიტომ რუსეთის ყველა სასწავლებლებში წელს სწავლა ადრე გათავდებაო. გაზეთი „Мос. Вѣд." სწერს ეხლა, რომ ეს ხმა ტყუილია, არც ერთ სასწავლებელში სწავლისა და ეგზამენის წეს-რიგი არ შეიცვლებაო.

** ზმიის სადგურიდგან (სუნჯენის განყოფილება) სწერენ გაზეთ „Кавказъ"-ს ერთ ფრიად შემაძრწუნებელ ამბავს. საღამოს ათი საათი იქნებოდა, როცა ადგილობრივმა მოძღვარმა მიხეილ კასაევსკიმ გაიგონა გარედ ძაღლის ყეფა. გამოვიდა გარედ, მაგრამ ვერავინ დაინახა. ისევ შებრუნდა სახლში. ძაღლის ყეფაც მისწყდა. მოძღვარმაკი არ იცოდა, რომ მოსისხლე მტრებმა დაათვალიერეს მისი სახლი. შემდეგ მოძღვრის სახლობამ მიიძინა. გახდა შუა ღამე. მტრები მიეპარნენ სახლს, გასტეხეს ფანჯარა და გადაძვრნენ სახლში. ოთახში მარტო ერთს, 6 წლის ბავშვს ეძინა. მტრებმა სიცოცხლე მოუსწრაფეს ბავშვს, ააძრეს საბანი და შიგ საბანში დაუწყის ნივთებს გროვება. აქედგან მეორე ოთახში შევიდნენ, სადაც მღვდლის ცოლს ეძინა ორის შვილით. საწყალი დედა ისე მოკლეს, რომ ხელი ისევე შვილის აკვანზედ შერჩენოდა. ბავშვებს ხელი არ ახლეს. მეორე ოთახში თვითონ მღვდელს ეძინა. იმას გამოეღვიძა და შესძახა „რა ამბავია, ადამიანო?" „ოჰ, შენც შინა ბრძანდებიო" უპასუხეს ავაზაკებმა და შეეჭრნენ ახლა იმას. მოძღვარმა მოისწრო თოფი, ესროლა, მაგრამ კედელს მოხვდა და თითო-ოროლა საფანტით თვით მღვდელი დაიჭრა. თოფის ხმამ და მღვდლის ყვირილმა გამოაღვიძა მთელი სოფელი და ავაზაკები გაიქცნენ. მთავრობა ფიცხლად დაეძებს ავაზაკებს და რამდენიმე საეჭვო კაციც უკვე შეუპყრია.

** 28 ნოემბერს სასტუმროს „სევერნი ნომერებში" დგმურების გაუფრთხილებლობით სანთლისაგან ფანჯრების ფარდას ცეცხლი წაეკიდა, და 255 მან. ნივთეულობა დაიწვა.

** 29 ნოემბერს ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ნარიმანოვის სახლში, არშაკ სარაჯიშვილმა თავის მოკვლა განიზრახა და ძუძუში რევოლვერი დაიცა. სარაჯიშვილი სამკურნალოში გაჰგზავნეს და საეჭვოა იმისი მორჩენა.

### მთავრობის განკარგულებანი

შემახიის სათადარიგო პოლკის პოდპოლკოვნიკს ნესტორ უგრეხელიძეს და ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურ ბათუმის კომენდანტს ანდრია ზედგინიძეს ებოძათ ვლადიმერის ორდენი მეოთხე ხარისხისა ოც-და-ხუთი წლის სამსახურისათვის.

გადაყვანილ იქმნა ახალციხის სამაზრო ხაზინის ბუხგალტერის თანაშემწე სიმონოვი იმავე თანამდებობაზედ დუშეთის მაზრის ხაზინაში.

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი).

ბევრმა ვაჟკაცმა-კი მოიტეხა კისერი ამ რაღაც კონვერსიაზედ. ისხდნენ, ბატონო, თავ-თავიანთთვის თბილად, სიტკბოებით და ანგარიშობდნენ ჯამაგირებს, დივიდენდებს. ჩვენც ჩვენთვის ვიყავით და შევხაროდით, გვწამდა რა მათი თავ-განწირული მოღვაწეობა ქვეყნის საკეთილდღეოდ. მაგრამ აგერ უცებ გატყვრა ეს რაღაც ჯანდაბა კონვერსიაა, დაეჯახა ამ ვაჟკაცებს და სულ დაუბნია დავთრები და მიმოუფანტა ჭკუა-გონება. ჭკუა-გონებას ვინ დასდევს. მაგდენად გასავალი არა აქვს ასეთს საქონელს. მისი მაზანდა ჯერ-ჯერობით ძრიელ დაწეულია. დრო ისეთი დადგა, ბატონო. მაგრამ გონების არევ-დარევას ჯანაბამდის გზა ჰქონოდა, რომ თან არ დაჰყოლოდა საშინელი განხეთქილება ქართველობაში. ვინც კონვერსიით არ გაითხელებდა ტვინს და მუდამ იმის ეშხით არ ისულდგმულებდა, ვინც წამდაუწუმ სარკის წინ არ იდგა თავის კაბინეტში და, კონვერსიის სახელით გატაცებული, თავის თავად არა ლაპარაკობდა ათასნაირ აბდაუბდას და არ ემზადებოდა წარამარა „რეჩების" წარმოსათქმელად, იგი თითქმის სამშობლოს მოღალატედ იყო აღიარებული. თუმცა ამ კონვერსიამ ბევრს აწყევლინა გაჩენის დღენი, მაგრამ ჯერ კიდევ, ხამუშ-ხამუშ მაინც გამოსკუპდება ხოლმე თითო-ოროლა ჩათუქესანი ვაჟკაცი და ერთის ამბით მოაფრიალებს კონვერსიის ბაირაღს. ეხლახან ეს ბაირაღი ააფრიალა ბ-ნმა ხონელმა, და ყველა აუქმიენი, ცველა უდღეონი, ღატაკნი ჭკუითა და ჩიტირეკიაჩნი მოსურიელდნენ. ბ-ნი ხონელი, სწორედ ისე, როგორც ამას წინად ერთის განთქმულის ბროშიურის უსახელო ავტორი, სწვდა ყელში ჩვენს გაზეთს, როგორ თუ შენ კონვერსიაზედ ხმა ამოიღეო—და ერთი ბიაბრუობა, ერთი ყოფა დააწია. თანაც გაშალა თავისი ღონიერი ფრთები და ქვეშ ამოისხა დაჩაგრულნი წიწილანი, რომელნიც ასე უწყალოდ გათელა შეუბრალებელმა კონვერსიამ.

მოგეხსენებათ, რომ ტფილისის თვით-მმართველობას საობლიგაციო ვალი ჰმართებს ერთ მილიონზე მეტი. სარგებელს აძლევს ექვს პროცენტს. ქალაქის გამგეობამა და საფინანსო კომისიამ იფიქრეს—იფიქრეს და გადასწყვიტეს—მოდი შევიმსუბუქოთ გადასახადი და ექვს სარგებლიანი ვალი ხუთ სარგებლიანად გავიხადოთო, ე. ი. კონვერსია ვთხოვოთ მთავრობასაო. ჩვენმა გაზეთმა არც აცივა, არც აცხელა, და პირში გადაწყვეტილი უთხრა: მაგ საქმეში მარტო თქვენის სურვილით ვერას გაჰხდებითო, უკეთუ თქვენ კრედიტორთა თანხმობაც არ იქონიეთო. მარტო თქვენს სურვილზედ რომ იყოს, დღეს ისე ხართ გაჭირვებულნი, რომ არა თუ სარგებელი, იქნება თავნიც არ მისცეთ მოვალეებსაო. გაგიგონიათ — ალია მომკვდარაო და ის-კი აღარ შეგიგნიათ, რომელი ალია და ან სად მომკვდარაო. საადგილ-მამულო ბანკებმა თუ მიიღეს ნება-რთვა თავიანთის ექვს-სარგებლიან
კონვერსიისა ხუთ სარგებ
მხოლოდ იმიტომ რომ და
მამულის პატრონს წინადვ
ნიჭებული უფლება გად
ლი, როცა-კი წარადგენს თ
საო. თქვენი ოპლიგაციებ
მელიც იგივ თამასუქია,
თის წლის ვადით არის
და მაგ თამასუქის პატრონ
ვადამდე ექვსი სარგებელ
თო, და უკეთუ წინადვე
გამოტანილი უფლება, რო
ლისა დაუბრუნოთ, როდე
გეძლებათ ვადაზე ადრე, თქ
ბაასი კონვერსიის შესახებ
ნაყვაა წყალისა და უსაქმუ
აოი, მეტი არა ფერიო.

მე თუ მკითხავთ, ნეტა
ზეთს ამ შეჩვენებულ კონვ
ხმაც არ ამოეღო. იქნება ბ
ნელი თავისთვისა მჯდარიყო
რა საჩხირ-კედელაო ფლეტ
რომელიც თუ ჭკუას ვერას არგ
და, ათასში ერთხელ ღიმილს მაინც მოჰგვრიდა თითო-ოროლას. ეხლა-კი, აქაოდა „ივერიამ" კონვერსიის წინააღმდეგ ხმა ამოიღოვო, მოსდგა, ბატონო, ცალკე გაზეთის რედაქტორს და ცალკე მთელს ჩვენს რედაქციას და ზურგზედ ბოლი აგვადინა. თქვენ ვინა ხართ, რომ კონვერსიაზედა ჰლაპარაკობთო! თქვენ რა იცით, რა ხილია საფინანსო მეცნიერება, თქვე მოჯალაბენოვო, უმეცარნოვო, ყურ-მოჭრილნო ყმანოვო! თუ მაგ საგანზედ გინდოდათ წერა, რატომ მე არა მკითხეთ, ან ჩემთა მომავლინებელთაო რომელთაც ისე კარგად შეიგნეს კონვერსია და ისე შეიყვარეს, რომ იმის გულისთვის მსხვერპლადაც-კი დასდეს თავნი თვისნიო. მეო. არა... მე-კი არა, საფინანსო მეცნიერებაო... არა, არც ეგ... ჩემი მომავლინებელნი, მერე მე ჩვენს შემდეგ საფინანსო მეცნიერება და იურისპრუდენცია თვალ გაგიხელდით და შეგატყობინებდით, რომ კონვერსია ისეთი რამ საკვირველი ხილია ახალის დროისა, ისეთი მანქანებაა, რომლის ძალითაც მოგიხერხებთ, რომ ყველა დარდი მოგაშოროთ თავიდგანაო. როგორც მე გავიგე ამ ფინანსისტის აზრი, ეხლა ვისაც რამე ვალი გმართებთ თამასუქით, მიჰმართეთ ამ ახალს ფინანსისტს და იგი გაგანთავისუფლებთ მაგ ვალისაგან, გაგიბათილებთ თამასუქებს. ადგება ბ-ნი

უჯ
ჰკუის
დედამიწაზე

### ორიოდე სიტყვა

პოლიტიკისა და ომიანობის შესახებ ევროპაში

1870 წელს დიდი საქმე მოხდა ევროპაში, რომ გერმანიამ საშინლად დაამარცხა ნაპოლეონ III, რომელსაც ჰსურდა 1866 წ. ომით დასუსტებული ავსტრია და პრუსია უფრო დაესუსტებინა და გამხდარიყო უზენაესი მბრძანებელი მთელის ევროპისა... ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ, ვილჰელმ I-ის, ბისმარკისა და მოლტკეს გერმანიამ, რომელიც სამხედრო დიდებამა და გამარჯვებამ წაიტაცა და წაათამამა, ჩაიდინა სულის აღმაშფოთებელი ამბავი: საფრანგეთის დიდებულს ერს მოჰგლიჯა გულიდამ ღვიძლ ძმასავით შეთვისებული ელზას-ლორენი.

ამ გარემოების წყალობით, გერმანიის ახალმა იმპერიამ თავის უნებურად შესამჩნევი სამსახური გაუწია რუსეთს, რადგანაც საფრანგეთის გარეშე პოლიტიკის ბედ-იღბალი რუსეთს ჩაუგდო ხელში. ორი, ერთი მეორეზედ სამტროდ გადაკიდებული სახელმწიფო—საფრანგეთი და გერ-

---

მოვიხედე და ვიცანი ჩვენი მედუქნე გასპარა. იმასაც მოედო ზურგზე ერთი კაი ღვინით სავსე ტიკი და გაოფლიანებული მობაჯბაჯებდა; უკან მოსდევდა თავის დახლიდარი, იმასაც ერთი ცხვრის ნასხეპი ეკიდა და სავსე ხურჯინი.

— გასპარ, შენ? განა მედუქნესაც ემტერება ხოლერა? შენ რაღა მოგარბენინებს? ვუთხარი გასპარას.

— ახ, მაგის სარჯულავი დაიქცა,—ამბობდა გასპარა ქშენით,— მაშ რა ვაკეთო მარტოკამ დუქანში, ხალხი სულ ტყეში გაიქცა, ეშმაკებს უყარაულო?.. ეგ, ძმავ, იმისთანა სარჯულავ ძაღლი ჭირია, რომ მაგას ფეხებზედ ჰკიდია მედუქნე, კეთილშობილი კაცი, ერთი უნამუსოდ შეგიძვრება კუჭში და ეხვეწე მერე, გამოდიო.

— ეგ კიდევ კარგი მოგიხერხებია, ღვინო წამოგიღია, ვითომ ღრეობაში წამოსულხარ, მუშტარი ღვინისა ტყეშიც ბევრი გამოჩნდება...

— ვა, გიჟი ხომ არა ხარ? მე ჭკვიანი ბიჭი მეგონე, ეგ რაებს ამბობ? პირი დაუღია აგერ და საცაა ჩაგვყლაპამს, ის ვირის თავი ხოლერა. მოგება საიქიოს ეშმაკების უსტაბაშს გაუყო?! ვაჰმე, ვაჰმე! შენ თავში ჭკუა არა გქონია... ეჰ, ღმერთო, სუფ სარქისის მადლო, შენ უშველე ჰალალ კაცს! სთქვა გასპარამ და თან ქშენით მოიხადა ღვინიანი ტიკი და დასდო პანტის ჩრდილოში; თითონაც ქშენით ჩამოჯდა, ამოიღო ჯიბიდამ ხელცახოცი და დაიწყო შუბლიდამ ოფლის წმენდა.

მოდი, ბიჭო, მოდი, დაჯექი, დაისვენე, მითხრა გასპარამ და თანაც აზარფეშა მოსთხოვა თავის დახლიდარს. მედუქნემ აზარფეშა კოხტად დაატრიალა ხელში, ჩასუნა და გამეორებით მთხოვა: მოდი, ბერუავ, მოდი ძმავ, დაისვენე, ცოტა ღვინო დავლიოთ, ღმერთი ვახსენოთ, უფრო კარგად წავალთ. მე, რასაკვირველია, მიამა ეს სიტყა, თუმცა-კი გამიკვირდა გასპარას გაპურადება. სარქისამ, გასპარას დახლიდარმა, ტიკს პირი მოხსნა და პირველი თასი თავის ხაზეინს მიართვა.

„დიდება ღმერთსა,—დაიწყო გასპარამ; ღმერთო დალოცვილო, შენ უშველე ყველა გაჭირებულ კაცს, დაიხსენი ყველა ჭირიდამ, ბოროტებიდამ; ღმერთო, გადმოგვხედე ერთი მაღლიდამ, შენი სახელის ჭირიმე, ერთი შენებურად უბძანე ამ ოხერ ხოლერას, მოგვწყდეს თავიდამ. რა უნდა ჩვენგან? რა გვმართებს იმისი? ვირი ხომ არ მოუყიდნია, ნალები აჰყაროს?! ეჰ, ღმერთო-ჯან, შენ იცი!

სამ-სამი აზარფეშა ყველამ გადავკარით. მე-კი, სწორე მოგახსენოთ, ამომშხამდა ნასვამი ღვინო: ღვინის ტიკის ზიდვა მე მომინდა. გასპარამ მთხოვა და, მაშ რა მეტი ჩარა იყო, არ ამესრულებინა იმისი თხოვნა?!. ღვთის წინაშე, გასპარას არც შაეძლო ტიკის ზიდვა, თავსაც ძლივს ერეოდა; აღმართზედ ქშიტინი ამოუშვა, გეგონებოდათ „მაშინა" მოდისო, ისეთს ორთქლს ისვრიდა პირიდამ, თანაც მე მეძრახებოდა, მამხნევებდა.

— აბა, ბერუა-ჯან, მეუბნებოდა გასპარა: ემაგრე ყოჩაღათ იყავი; ერთი ალაგას მივიდეთ და მერე ნახე, რა შნოება გაგიწიო, დავი-დარაპის თავი არა მაქვს რაღა!

ამ ერთს საათში ძალიან დავმეგობრდით მე და ჩვენი მედუქნე; წინათაც ეს ბერუა ვიყავი, რომ გასპარას ნახევარ შაურიანი არაყი არ დაულეინებია ჩემთვის და მიკვირდა, დღეს რა მოელანდა ამ დამწვარ კაცსა-მეთქი. სწორედ ხოლერამ, სიკვდილის მოახლოვებამ დაგვამეგობრა.

— შენ მომყე, გასპარ, მე ყოჩაღადა ვარ-მეთქი, ვეუბნებოდი: ღვინო იყოს, თუნდ ერთ რუმბს ავიტან მთის წვეროზედ; ერთი ტიკი რას გამიჭირდება.

— ოჰ, შენი სულის ჭირიმე, ბერუა-ჯან, რომ ყოჩაღი ვინმე ხარ, ამბობდა კვლავ გასპარა და თანაც მუხლებზე ორივე ხელების ბღარტუნით მოგორავდა პირ-აღმე.

II

ტყეში რომ შევედით, საკვირველი სანახავი დაგვხვდა. მთელს სოფელს იქ მოეყარა თავი, ბებერი, ბალღი, კაცი და დედაკაცი იქ მოგროვილიყო; ეს ამოდენა ბრბო რომ გენახათ და ჟრიამული ხალხისა გაგეგონათ, იმას როდი იტყოდით, ხოლერას დაუფთხია ეს ხალხი, დღეობაში წამოსულანო გეგონებოდათ. ზოგს სად დაენთო ცეცხლი, ზოგს სად: ვინ დიდი წიფლის ქვეშ მობუნაგებულიყო თავის ცოლშვილით; ვინ მუხის ქვეშ, ვინ კორჩხლიანს რცხილას აჰაფარებოდა, იქვე გვერდით ველზე ყელ-გადაგდებული ურმები იდგა. ყველას ცეცხლები დაენთოთ და ზედ ქვაბები ეკიდა, სადილს იმზადებდნენ. პატარძლებს აკვნები გვერდით ედგათ, არწევდნენ, შვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ო- ...უმინია, ...ც რუსეთმა ... და განათავისუ- ..., იმისი პატივისმცემელ- ... კალდებულნი მოსამსახურენი ...ენდა შექმნილიყვნენ. ოსმალეთის დასაცველად ბალკანეთის მთებსა და დუნაის შორის აგებული ძლიერი ციხე-სიმაგრენი სრულიად მოისპო, ბოლგარეთი და აღმოსავლეთი რუმელია, თუმცა ფორმალურად ოსმალეთის ვასალებად ითვლებოდნენ, მაგრამ საქმით-კი რუსეთს ჩაუვარდნენ ხელში, პირველში მაინც; ნაწილი ბესარაბიისა, რომელიც 1856 წელს, ყირიმის ომის გათავების შემდეგ, წაართვეს რუსეთს, ისევ ჩვენს სახელმწიფოს დაუბრუნდა და აქედ, ჩვენის მხრისაკენაც, აზიის ველზედ, რუსეთმავე შეიძინა, სხვათა შორის, ბათუმი და ყარსი; თვით ოსმალეთი ხომ, რომელმაც ამდენი მიწა-წყალი დაჰკარგა, სრულიად მოუძლურდა, თავ-გაურთველი კონტრიბუცია კისერზედ მძიმედ დააწვა და სწორედ რომ განუკურნებელის სენით შეპყრობილს ავად-მყოფს დაემზგავსა. ამ გვარად, რუსეთს თითქმის ის-ღა დარჩა, რომ მოხერხებული დრო შეერჩია და პირდაპირ სტამბოლი აეღო, რათა ამით თავის გარეშე პო...ას უმთავრესი და უპირატესი ...ი განეხორციელებინა...

...ამ ნამდვილად-კი საქმე სულ ...რად არის.

... ვსთქვით, რომ ელზას-ლორე...მემ საფრანგეთი ხელში ჩაუ...უსეთსაო. მაგრამ, სამაგიეროდ, ...ს მიერ სტამბოლის აღების ...მა და ბერლინის ტრაქტატმა ... გერმანიის ყურ-მოჭრილ ყმად ... და იმის დაუკითხავად ეს სა...ფო ფეხსაც ვერ გადასდგამს. ...ს სწორედ ასეთმა ყოფამ სულ ...ად შესცვალა ყოველივე და ...ელ პოლიტიკის დედა-აზრიც ...ს დაფარული. ევროპის სამხედ...ოა ორს მოპირისპირე სამტრო ...დ გაიყო. ორივ ბანაკი ერთ... მუსრის გავლებას ემუქრებიან. ...ნას შიში და კანკალი მოსდის. ...შეიარაღებას რომ უყურებს. ერ...ს მხრით, სდგას შეიარაღებული ...უსეთი და საფრანგეთი, მეორეს ...მხრით, თავიდგან ფეხებამდის იარაღში ჩამჯდარი გერმანია და ავსტრი-ვენგრია; ამათ ბანაკში თავი შეჰყო იტალიამაც, რომელსაც სხვა სახელმწიფოებთან ერთად თვალი სტამბოლისაკენ უჭირავს და „ზღვათა კლიტულს“ დარაჯად უდგას. აქედგან ცხადად სჩანს, რომ როგორც-კი ჩვენი სახელმწიფო თავის გარეშე პოლიტიკის უმთავრეს სურვილის განხორციელებას შეუდგება და სტამბოლის დასაპყრობად ჯარებს გაჰგზავნის, მაშინვე მთელის ევროპის სახელმწიფოთა ჯარებიც სწრაფად ფეხზედ დადგება და წარმოუდგენელის, უშველებელის ომისათვის მოემზადება. და ამ თავზარ-დამცემ ომის ბედიღბალი, მისი ასე თუ ისე გათავება ინგლისის საქმე იქნება... გერმანიისა, ავსტრი-ვენგრიისა და იტალიის ომი, რომელიც უნდა ასტყდეს რუსეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ, რაღა თქმა უნდა, დიდად გაინაპირებს რუსეთს ევროპაში. რუსეთიდგან პურის გადასატანად ევროპაში გზა შეიკვრის და მოისპობა. დასავლეთის ყველა სახელმწიფონი-კი უცხოეთიდგან მიტანილის პურით იკვებებიან. ამ შემთხვევაში, ე. ი., რაკი ხმელეთზედ გზა შეკრული იქნება, ევროპის სახელმწიფოებმა პური მხოლოდ გემებით უნდა ჰზიდონ, ხოლო ინგლისი ზღვებზედ ისე უპირატესობას, თითქმის ბატონობს, რომ შეუძლიან უპუროდ, უსაზღვროდ დასტოვოს მთელი საფრანგეთი, ანუ გერმანია—იმის და მიხედვით, თუ რომლის მხარეს დაიჭერს ეს საოცარი ვეშაპი ზღვისა.

ამ სახით მოსალოდნელ ომის საბლების ორივ წვერი იმათ-კი არ ეჭირებათ ხელში, ვინც იომებენ, არამედ ინგლისს. ეს კარგად იციან ევროპაში და სწორედ აქ არის ის ფონი, რომელიც ერთგან აღრჩობს...

თვითონ მრთელი ევროპის ორს უდიდეს სამხედრო ბანაკად განაწილება და შუაზედ განყოფა-კი ორის ისტორიულის ამბავის ბრალია: ერთის მხრით, ელზას-ლორენის ძალით წართმევამ საფრანგეთი დაუკავშირა რუსეთს, რომლის დახმარებით გერმანიას უნდა წაერთვას უსამართლოდ მისაკუთრებული პროვინციები და მასთან დღევანდელი სამხედრო მეთაურობა: მეორეს მხრით, რუსეთის მიერ სტამბოლის დაპყრობის სურვილმა დაჰბადა „სამთა სახელმწიფოთა კავშირი“, გერმანიას დაუმეგობრა ავსტრი-ვენგრია და იტალია. ორივე ბანაკი ემზადება ისეთის ომისათვის, რომლის მსგავსი ჯერ არ უნახავს ისტორიასა და ბედ-კრულს კაცობრიობას. მოსალოდნელს ომს საოცარის დარაზმულობით დღეს დარაჯად უდგას თხუთმეტი მილიონიდგან მოკიდებული ოც მილიონამდე მეომარი... საშინელი, თავ-ზარ დამცემი სურათია!..

თუ ეს ასეა, თუ ისტორიამ გადასწყვიტა, რომ ასეთი ბედი უნდა ერგოს გონება-წარმატებულს კაცობრიობას, რატომ აღარ დაიწყებენ ომს ქვეყნის გამგენი და „ძლიერნი ამა სოფლისანიო?—იკითხავთ.

დიაღ, ომი უნდა დაწყებულიყო აქამდინაც, მაგრამ ორი გარემოება უშლის ხელს: ერთი ის, რომ ტეხნიკა სამხედრო საქმისა წარმოუდგენელის სისწრაფით იცვლება, წინ მიდის, ახალს იარაღს ზედიზედ, ერთი მეორეზედ იგონებს, და ყველა სახელმწიფო ცდილობს უფრო კარგი და ახალი იარაღი აისხას. მეორედ, ომის დაწყებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ არც ერთმა სახელმწიფომ წარმოდგენითაც-კი არ იცის, თუ ვინ გაიმარჯვებს, რომელი გაიტანს გამარჯვების ღელოს. ევროპის მკვიდრთა უმრავლესობა-კი, რომელსაც სწყურის მოქალაქეობისა და მრეწველობის განვითარება, ადამიანური ცხოვრება, მწარედ დაღონებული და ათასის გარდასახადით დაბეჩავებული გაიძახის: „ვაი ჩვენი ბრალიცა, რას უნდა ვსცდილობდეთ და ჩვენ-კი რას ვალევთ ჩვენს ძალღონესაო!“

ხომლელი

## წვრილი ამბავი

საფრანგეთის გამოჩენილმა მწერალმა ემილ ზოლამ „რუგონ-მაკარ“-ის სახელით რამოდენიმე რომანები დაჰბეჭდა და ახლა კიდევ ამ სერიის უკანასკნელ რომანის წერას შესდგომია. ამ რომანს სახელად „Doctour Pasçal“-ი ეწოდება და ზოლა მაისამდე გაათავებს მის წერასაო, ამბობს გაზეთი. ამ გაზეთის რეპორტერისათვის ზოლას უთქვამს: წერის დაწყებამდე ჩემთვის დიდი უბედურება და ჭეშმარიტი ტანჯვა-წამებაა; კიდრე რომანის მესამედს მაინც არ დავსწერ, სულ არ მომწონს. ზოლას წინდაწინ აწონილ-დაწონილი და გაზომილი აქვს, თუ რა დასწეროს და როგორ. თუმცა, ესეც უნდა გსთქვათ, ამბობს რეპორტერი, ზოლა იმდენს ასწორებს თავის რომანებს, რომ წიგნი ხელნაწერ დედანს სულ არა ჰგავსო.

— ქ. ვენაში (ავსტრიაშია) ამ უკანასკნელ დროს შემოიღეს გიპსისაგან გაკეთებულ კუბოების ხმარება. მკურნალებს განზრახვა აქვთ გამოიკვლიონ, რამდენად სასარგებლოა ასეთი კუბოების ხმარება სასანიტარო მხრივ.

— პარიჟის სასტატისტიკო ბიუროს ცნობიდგანა სჩანს, რომ წარსულს წელს ქ. პარიჟში ცხენის რკინის გზითა, „ომნიბუსებით“ და ორთქლის მატარებლებით უმოგზაურნია 159 მილიონ კაცს, ე. ი. დღეში 435 ათას კაცს და ერთს დღეს ორთა შუა რიცხვით 153,000 ფრანკი გადაუხდიათ.

— საფრანგეთის გამოჩენილმა მეცნიერმა, შარლ ლეტურნომ, რომელმაც სახელი გაითქვა თავის თხზულებებით, ეხლა დაჰბეჭდა ახალი თხზულება იმის შესახებ, თუ სხვა-და-სხვა ერნი როგორ იცვლიდნენ სარწმუნოებას.

— ერთი ამერიკელი ექიმი გვარად ალბერტსონი აი როგორ არჩენს თურმე ჭლექით ავადმყოფებს: ოთახში ახთებს ცეცხლს წითლის ხის ნახერხისაგან. ოთახი კომლით ივსება. აი ამ ოთახში 30—40 წუთით შეიყვანს ავადმყოფს. ამბობენ, რომ ასეთი წამლობა ძლიერა ჭრებს ჭლექით ავადმყოფებს, ხველას უკლებს და საზოგადოდ უფრო ჯანზედ აყენებსო.

— როგორც ამბობენ, პანამის საზოგადოების მეთაურებისაგან შემდეგ გაზეთებსა და ჟურნალებს აუღიათ ქრთამი:

| | ფრანკი |
|---|---|
| „Figaro“-ს . . | 500,000. |
| ამ გაზეთის დირექტორს (მთავარ რედაქტორს) კიდევ ცალკე მიუღია. . . | 30,000. |
| „Petit Jonrnal“-ს . | 300,000. |
| «Telegraphe»-ს . | 120,000. |
| ამ გაზეთის დირექტორს ცალკე . . . . | 120,000. |
| „Matin“-ს . . | 50,000. |
| „Gaulois“-ს . . | 15,000. |
| მის დირექტორს ცალკე . | 30,000. |
| «Radical»-ს . . | 100,000. |
| „Journal des Débats“-ის დირექტორს კიდევ . | 40,000. |
| და ვიღაც კანიკეს გაზეთ „Paris“-ის რედაქციას . | 80,000. |

## წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ, ნება მიბოძოთ, თქვენის გაზეთის საშუალებით, უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო ბ-ნ ნიკოლოოზ ბესარიონის ძეს დოლობერიძეს, რომელმაც მაკვანეთის (გურიაშია) სკოლას შესწირა 10 მანეთი ფული.

თ. კიკვაძე

დ. ზესტაფონი. 1892 წ., 25 ნოემბერი.

# დეპეშა

28 ნოემბერი

**პეტერბურგი.** მემკვიდრე ცესარევიჩი დანიშნულ იქმნა შეფად ნიჟეგოროდის მე-44 დრაგუნის პოლკისა.

მინისტრთა კომიტეტმა გადასწყვიტა, გადადებულ იქმნას 1894 წლის 1 მაისამდე ძველის სახის ქაღალდის ფულის შეცვლა და მათ შორის 1866 წლის გამოცემულის 50 მანათიანის ქაღალდის ფულისა.

„Бирж. Вѣд.“ იუწყება, რომ განსაკუთრებულმა საბჭომ გადასდო 39 მილიონი მანათი დასავლეთ ციმბირში რკინის გზის გასაყვანად; ეს ფული ციმბირის გზას 1893 წელს მოხმარდება. დანარჩენი 110 მილიონი

---

ლებს ნანას ეუბნებოდნენ. ვინ იცის ფიქრობდნენ: მაინც ხომ ხოლერა მოგვტაცებს და მძინარენი მაინც წაიყვანოსო...

უმრავლოდ გულ-შეწუხებულნი, დაღონებულნი ჩვენი მღვდელ-დიაკვანიც თავის ცოლ-შვილით, თავიანთ ტარასტით გამოხიზნულიყვნენ და თამარ-მეფის დროინდელ, დანგრეულის ეკკლესიის გვერდზე ისხდნენ. იმათ მუხა სჩრდილავდა; ეს მუხა ზედ საყდრის გუმბათზეა ამოსული. მე, გასპარამ და იმის დახლიდარმა ალაჩოღი გავიმართეთ საყდრის გვერდზე, დიდის იფნის ძირში; დავანთეთ ცეცხლი და შევუდეგით ვახშმის მზადებას. გასპარამ დოში დაალბო, მე ცხვრის ხორცი ჩავსჭერ ქვაბში. გასპარას დახლიდარი შეშას გვიზიდავდა. ის იყო მზე ჩადიოდა. ჩვენი სოფელი პირდაპირ მოჩანდა; ჩემს ქოხს, როგორც სხვებისას, როგორც ხელის გულზე ნადებს კვერცხს, ისე დაინახავდით. მე გულმა ველარ მომითმინა და გადავხედე ჩვენს სოფელს მაღლიდამ. საბრალო სანახავი იყო მაშინ ჩვენი სოფელი, სასაფლაოსა ჰგავდა; დამავალს მზეს მაღლის მთის ჩრდილი შავს ნაბადივით ზედ მიეფინა; ხმაურობა მიმწყდარიყო, მხოლოდ შორიდამ ისმოდა მამლის ყივილი, სახლის ბანებზედ ძაღლები დარბოდნენ. კამეჩები ბოსტნებს იკლებდნენ, ვინ იყო კაცი და პატრონი?! მე თვალი უფრო ჩემის ქოხისკენ მეჭირა. მის მნახავს შემეცოდა ჩემი თავი, გული ამომიჯდა, თვალზე ცრემლები მომადგა: ეს რა უბედურება უნდა იყოს-მეთქი, რომ თავის ნებით თავის სახლ-კარს კაცი ღვთის ანაბრობაზე თავს ანებებდესო, ვსთქვი. უცქეროდი ჩემს ქოხს, ეხლა უფრო მელამაზა, გვერდზედ ჩამომდინარი ხევი ალამაზებდა მის სისაწყლეს. ჩემი ქოხი თითქოს შორიდამ შემომტიროდა, მეძახდა: ჩემო პატრონო, თავს რად მანებებ, სად მიმირბიხარ, ჩემს თავს ვის აბარებო?! სოფლის დანახვამ ამ დროს სასაფლაო მომაგონა. ჩემის ქოხის კარებზედ დახეტიალობდა ჩემი ბონთვერა; საბძლის საყუეზედ ჩემს კატას ეძინა; თანდათან გულზედ ბოლმა შემომაწვა, გული ამომიჯდა, მეუბნებოდა: წადი, შენს ბეჩავს ოჯახში მოკვდი, ტურასავით ტყეში რად იმალები, ტყის ნადირივით ტყეში რადა ჰკვდებიო!.. ის ის იყო მოვბრუნდი, უნდა გასპარასათვის მეთქვა, შინ დავბრუნდებიო, რომ თვალი გვერდზედ დამრჩა და დავინახე ჩემის გულის მომკვლელი სოფო, ზაქარა ქევხიაშვილის ქალი. სოფოც მოცრემლიანებულის თვალით ისე მიცქეროდა, თითქოს ჩემი შეჭმა უნდოდა, მეც რომ დავაცქერდი, იმან თავი ჩაღუნა.

ზაქარა ქევხიაშვილი იქვე, ცოტა ჩვენს მოშორებით დაბინავებულიყო. სოფოც, რასაკვირველია, იქ იყო. რა-კი სოფო დავინახე, წასვლა აღარ მეწადა, თუნდა ორი თვევე ერთმანეთზედ გადაბმულიყო... ახ, კაცის გულო, რა ხარ?.. რამდენი ვეხვეწე ზაქარას, რამდენი მაჭანკალი გაუგზავნე, რო ქალი ჩემთვის მოეცა, მაგრამ არ იქნა, მისი გული ვერ მოვდრიკე. ქალს უნდიხარო, მოჰქონდათ მაჭანკლებს ამბავი, ქალის მამას—არაო. ზაქარა თურმე სულ იმას იძახდა: „ვიღაც გადმოკარგულს, ტყიკაციშვილს ქალს როგორ მივსცემ, რაც უნდა კაი ბიჭი იყოს, თუნდა სულ ოქრო-ვერცხლით სავსე ქვევრები ედგესო“. ამის გამო გაბანდებული იყო ჩემი საქმე და ჩემი გული კიდე დაბნელებული შემოდგომის ბურუსიან ღამესავით. არსად ჩნდებოდა ჩემის წყლულის წამალი; ჩემი ნუგეში ამ წუთი-სოფელში მარტო ღმერთი იყო და იმას ვეხვეწებოდი, ვევედრებოდი, გულ-მოკლული არ ვემყოფე ქვეყანაში. როცა დავწვებოდი, ღამე არ მეძინა სრულიად, ბაღლივით, როცა დედას მოიგონებს. ვსტიროდი; ურიასავით პირქვე დავეგდებოდი და ვღვრიდი ცრემლსა; ლეიბი რომ გენახათ მეორე დილას, გეგონებოდათ, ეს ეს არის წყლიდამ ამოუღიათო. საქმეზედაც გული ამიცრუვდა, აღარ მიმდიოდა გული, სულ ის იყო ჩემი თვალით და გულით საძებარი, ჩემი საფიქრებელი, ვინც წელან თვალებით შეჭმას მიპირობდა. ხოლერა მიდიოდა და ღმერთს იმას ვეხვეწებოდი, მე მომკალი, სოფო-კი დაარჩინე, მაგის სიკვდილს ნუ გამაგონებ, ნუ მაჩვენებ-მეთქი. ოჰ, ღმერთს გეფიცებით, კაცებო, სიყვარულზე მეტი ჭირი და ლხინი ღმერთს არ გაუჩენია. რა ცეცხლი იყო მაშინ ჩემს გულში, ვინ გამოიცნობდა, ვინ გაიგებდა?! მე თითონაც ვერ გამეგო, ვცდილობდი როგორმე გამეხელებინა ეს ცეცხლი, მაგრამ, არ მოგიკვდეთ ბერუა, მე ის ვერ გავანელე. რამდენიცა ვცდილობდი, არა მყვარებიყო სოფო, იმდენად უფრო მიყვარდებოდა, იმდენად უფრო ვიტანჯებოდი.

ვაჟა-ფშაველა

(დასასრული იქნება)

მანათი, რომელიც საჭიროა ირკუტსკამდე რკინის გზის გასაყვანად, ნაწილ-ნაწილად იქნება გადადებული 9 წლის განმავლობაში.

**კალკუტა.** ჩიტრალიდამ მასულ უკანასკნელ ცნობიდგანა სჩანს, რომ შირ-აფზულ ხანისა და ნიზამ-ალ-მულკის 'შორის შებრძოლება ჯერ არ მომხდარა. ნიზამს უკეთესი ადგილი უჭირავს ბრძოლისათვის; ამას გარდა 2,000 კაცი შირ-აფზულს გადაუდგა და ნიზამს მიემხრნენ.

**ბერლინი.** სასამართლომ გაარჩია საქმე პუბლიცისტის ალვარდტისა, რომელიც ამბობდა: გერმანიის ჯარებისთვის „ლევეს“ ქარხნის მიერ გაკეთებული თოფები არ ვარგაო. საქმის მცოდნე კაცთ შეამოწმეს, რომ ეს თოფები კარგია და ალვარდტს ამ საქმეში არაფერი გაეგებაო. სასამართლომ პუბლიცისტს ალვარდტს 5 თვით დაპატიმრება გადუწყვიტა.

**პარიჟი.** ახალმა მინისტრმა იუსტიციისამ, ბურჟუამ განაცხადა, პანამის საქმის შესახებ ყველა საბუთის ქაღალდებს აღმოვაჩენო. მინისტრის ასეთის განზრახვის გამო მთავრობა და გამომძიებელი კომისია ერთმანეთში მორიგდნენ.

**ვენა.** დღეს, იმპერატორის თავმჯდომარეობით მოხდა, სამხედრო საბჭო, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ერცჰერცოგმა ალბრეხტმა.

**ბერლინი.** რეიხსტაგში სამხედრო კანონ-პროექტის განხილვის დროს პრუსიის სამხედრო მინისტრმა სთქვა, რომ ეს კანონ-პროექტი საუკეთესო მოწყობილებას შექმნის ჯარებისას მშვიდობიანობის დროს და ომის დროსაც სრულს იმედს მოგვცემს გამარჯვებისასაო. გიუნემ სთქვა: მე დაწვრილებით ვარჩევ სამხედრო პროექტს და იმედი მაქვს მთავრობას დავეთანხმოო. იმპერიის კანცლერმა განაცხადა: მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ იმპერიის არსებობისათვის აუცილებლად საჭიროა სამხედრო კანონ-პროექტის განხორციელება. ამიტომ, თუ ვინიცობაა რეიხსტაგმა მოინდომა, რომ ერთად ერთი მე ვიყო პასუხის მგებელი ამ საქმეში, დიდის სიამოვნებით ვიკისრებ ამ პასუხის-გებასაო.

**სოფია.** უარჰყოფენ იმ ხმებს, ვითომ პრინც ფერდინანდ კობურგელს პარმის ჰერცოგის ქალიშვილის ცოლად შერთვა უნდოდეს.

29 ნოემბერი

**პეტერბურგი.** ლეიბ გვარდიის ცხენოსან პოლკის როტმისტრს, დიდ მთავარს დიმიტრი კონსტანტინეს ძეს კარგის სამსახურისათვის პოლკოვნიკობა ებოძა და ლეიბ-გვარდიის ცხენოსან-გრენადერთა პოლკის უფროსად დაინიშნა.

გამოცხადებულია წეს-რიგი მკურნალთა კრებისა და განსაზღვრულია ყოველ დღისათვის გასარკვევი საგნები ერთის კვირის განმავლობაში, 13—20 დეკემბერს.

საერო განათლების სამინისტრო აცხადებს, რომ სწავლა განათლების საქმის შესახებ ის ამბები, რომელიც „Прав. Вѣст.“-ის გარდა სხვა-და-სხვა გაზეთებში იბეჭდება, სიმართლეს მოკლებულიო.

„Бирж. Вѣд“. იუწყება, რომ დასავლეთ-სამხრეთის რკინის გზათა გამკეთებელს საზოგადოებას უფლება მიეცა, კიდევ ორი რკინის გზა გაიყვანოს: ბოროვკა-კოტელნია—ჟიტომირი, შტოებით: რადომისლ-კალინოვკა-ლადოვკა და ძველი სინიავა.

**პეტერბურგი.** განსაკუთრებულმა კომისიამ ფინანსთა მინისტრის ამხანაგის ერმოლოვის თავმჯდომარეობით უნდა ისე შესცვალოს ღერბის გარდასახადის წესდება, რომ ამ გადასახადის შემოსავალმა იმატოს და ამასთანავე შეუძლებელ იქმნას ღერბის გარდასახადის წესდების დარღვევა და საჭირო გარდასახადის გადაუხდელობა.

ციმბირში გადასახლებულთათვის შემწეობის აღმოსაჩენად პეტერბურგში დაარსებულ საზოგადოებას დღეს კრება ჰქონდა. წაკითხულ იქმნა მოხსენება ნ. მ. იადრინცევისა. შინაარსი მოხსენებისა: გადასახლება ამ ზაფხულს; გადასახლებულთა მდგომარეობა ტიუმენსა და ტომსკში და სხვა-და-სხვა საშუალებათა მიღება გადასახლებულთა დასახმარებლად. მოხსენება საზოგადოებას მოეწონა.

**პარიჟი.** გამომძიებელმა კომისიამ დანიშნა დელეგაცია შვიდ წევრთაგან და მიანდო პანამის საქმის შესახებ საბუთის ქაღალდების განხილვა. დანიშნულ იქმნა კიდევ ერთი დელეგაციაც, რომელსაც ოთხი წევრი შეადგენს. ეს დელეგაცია უნდა დაესწროს რეინაკის მემკვიდრეთა დაბეჭდილ ქაღალდების გასინჯვას. დღეს რეინაკის გვამი გასჭრეს; რა აღმოაჩინეს გაჭრის დროს, ჯერ საიდუმლოა და არ აცხადებენ; მოწმენი ამტკიცებენ, გვამი ნამდვილად რეინაკისა არისო. რეინაკის ტვინი და შიგანური პარიჟს გაჰგზავნეს და დიდის ყურადღებით გასინჯავენ.

პეტერბურგის ბირჟა, 27 ნოემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $8_{,04}$ | $8_{,07}$ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 161 | 161$^{3}/_{4}$ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | $1_{,08}$ | $1_{,10}$ | — „ |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 243$^{1}/_{2}$ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 221$^{3}/_{4}$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — „ | — „ | 193$^{1}/_{2}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀ . . . . . . | 102 | — „ | — „ |
| 5°/₀ . . . . . . | 100 | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀ . | 102 | — „ | — „ |
| 5°/₀ . . . . . | 100 | — „ | — „ |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98$^{1}/_{2}$ | — „ | — „ |

**გამოსადეგი ცნობანი**

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის . . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე, მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

---

ნ ი ხ რ ი

1892 წ. 18 ენკენისთვიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 6 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 12 „
ცხვრის ხორცი — — 7 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. გ. „
მე-2 ხარ. ტყავიანად „


**განცხადებანი**

**კბილის ექიმი**
**ა. ი. ორბელი**
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
**კვირა-უქმე დღეებში**
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—145)

**საურთიერთო დაზღვევი...**

აუწყებს ვენახებისა, ხეხი... დოების წესდების § 30 ძალი... ლება საკუთრად ვენახებისა, ბა... განყოფილების მოქმედება დ... დაზღვევისა იქმნებიან იმდენ... ლაური 500,000 მან. იქნება...
სურვილი თვისი უნდა ... ლის 9—12 საათამდე, ხოლ... 3 საათამდე. (აბას-აბათის მო... საკუთარი სახლი). იქვე შეი...
Страхованіе отъ гра...
Краткій очеркъ разви... ніи и Россіи.
Сборникъ свѣдѣній д... культурнымъ растеніямъ ... вліяніями, а также насѣко...
Составилъ В. А. Тар...

1893 წლის 1 იან...
**„უნივერსა...**
დ. ქ. ...
აბას-აბათის მოედანზედ, მელიქ-ნუბარ... 3 საათამდე.

საქმე სააგენტოს...
I რიგისა
დაზღვევა სიცოცხლისა ყოველ იმ წესით, რა წესი...
დაზღვევა ცეცხლისაგან უძრავისა და მოძრავის ქონე...
დაზღვევა ჭირნახულისა და ვენახებისა სეტყვისაგან.
გასყიდვა 5-°/₀-იან მომგებისბილეთებისა I და II სესხისა და სახელმწიფო სათავად-აზნაურო მომგებიან გირავნობის ფურცელთა ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით და ხელ-მოსაცემი პირობით.
დაზღვევა მომგებიან ბილეთებისა გაბათილებისაგან უზრუნველ-ყოფისათვის, თითო ბილეთისა 60 კაპეიკად.
II რიგისა
შედგენა ხარჯთ-აღრიცხვათა და გეგმებისა შენობათა ასაგებად. (სააგენტოს ჰყავს საკუთარი ხუროთ-მოძღვარი-არხიტექტორი).
შესრულება ქალაქ გარეშე მცხოვრებთა ყველა საქმისა, რომელიც-კი შეეხება მთავრობისა და სხვა კერძო დაწესებულებათა, აგრეთვე კომერციის და სხ.
სააგენტო ტვირთულობს სოფლისა და ქალაქის მამულების დაგირავებას ტფილისის სათავად-აზნაურო და სახელმწიფო ბანკში და აგრეთვე საკრედიტო საზოგადოებაში.

**რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი**
(ძირის ფული **1.000,000** მან.)
**პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, 27**
ისყიდება 5°/₀-იანი მომგებიანი ბილეთები I და II სესხისა და გირავნობის ფურცელნი სახელმწ. სადგილ-მამულო ბანკისა ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით.
ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი 10°/₀ იმისი, რაც ბილეთი ჰღირს ბირჟაზედ (არა ნაკლებ 15 მან.). ყოველ თთვე-და-თთვე უნდა გადახდილ იქმნას იმდენი, რამდენსაც თვით მყიდველი ისურვებს (არა ნაკლებ 5 მან.)
კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.
დაზღვევა ბილეთისა გაბათილებისაგან ჰღირს 60 კაპ.
(20—16) აგენტი დ. ქ. თუთაევი

ა ხ ლ ა დ გ ა მ ა რ თ უ ლ ი
**პანსიონი და სასწავლებელი**
ა. გ. მირზაშვილისა
იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბალდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდამ.
(50—24)

**რუსეთის საზოგადოება ცეცხლისაგან დაზღვევისა**
კანტორა უმთავრესის სააგენტოსი კავკასიისათვის არის ტფილისში, განოვის ქუჩაზედ, ნოტარიუს მამიკონოვის კანტორის გვერდზედ, ყაზაროვის სახლში.
(30—21) ინსპექტორი საზოგადოებისა ვ. ფ. ტარანოვი.

**დედა-ენა**
ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, ახალი მეცხრე გამოცემა დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. წიგნის ტექსტი შეუცვლელად არის დარჩენილი, მხოლოდ თავში ჩართული აქვს სახატავი სურათები და ბოლოში ოთხი გვერდი საწერი დედანი მსხვილისა და შუათანა ხელისა, ასე რომ ამ წიგნის ხმარების დროს მოსწავლეს ცალკე დედანი აღარ დასჭირდება. ფასი უწინდელია—ექვსი შაური. ვინც იყიდის 30 ცალს ერთბაშად ნაღდს ფულზედ, წიგნი დაეთმობა უყდოდ 25 კ. და ყდით 33 კ.
შემდეგი გამოცემისათვის უკვე შეკვეთილია საწერი დედანი წვრილის ხელისა და ნუსხურისა. 10—9


Доз. ценз. Тифлисъ, 30-го Ноября 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.